საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №53
2020 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ აქტი შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. წერილობითი ფორმით აქტი დგება სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს (მის წარმომადგენელს), მეორე რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო მესამე – დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციისთვის. ელექტრონული ფორმით აქტი დგება ერთ ეგზემპლარად და ბარდება/ეგზავნება გადასახადის გადამხდელს (მის წარმომადგენელს) და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. ამასთან, დასაშვებია ელექტრონული ფორმით შედგენილი აქტის ამობეჭდვა და გაგზავნა გადასახადის გადამხდელისათვის (მისი წარმომადგენელისათვის). ელექტრონული ფორმით შედგენილ აქტზე შესაბამის პირთა ხელმოწერა ხორციელდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც არის მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.“.

2. დანართი №25 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**

დანართი №25

შემოსავლების სამსახური

ა ქ ტ ი №

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

		20 წ.

(შედგენის თარიღი)

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

20 წ.		N

ბრძანების თანახმად,
(მიღების თარიღი)

(საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილ პირთა თანამდებობა, სახელი და გვარი)

(მოქმედების დაწყებისა და დამთავრების დრო (საათი და წუთი))

გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის:

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

და დამსწრე პირების თანდასწრებით

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

განვახორციელეთ

(გადასახადის გადამხდელის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, ფაქტობრივი მისამართი)

შემდეგი ქონების აღწერა და ყადაღის დადება:

№	საგნების დასახელება (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა)	ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა)	რაოდენობა	შეფასება		აღნიშნული საგნების ან/ და სადგომის დალუქვის შესახებ აღნიშვნა და დადებული ლუქების (ბეჭდების) რაოდენობა და ნომრები
				ერთეულის ფასი	ღირებულება	
1	2	3	4	5	6	7

ყადაღადადებული ქონების საერთო ღირებულება (ლარი)

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, აღწერილი ქონების შეფასება განხორციელდება საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს ან ექსპერტის/აუდიტორის მიერ, დაერთვება „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ აქტს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

ყადაღადადებული ქონება შესანახად ჩაბარდა, რომელსაც

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

განემარტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

აქტის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან ოცდაათი დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურში (ქ. თბილისი, გორგასლის №16) წერილობითი ან ელექტრონული საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქტი შედგენილია კანონმდებლობის დაცვით, რომლის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირები:

(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი:	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
ქონების შემნახველი:	(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

დამსწრეები:

(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)